საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 6925178001**
თარიღი:**27/06/2025**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ლახუნდარაში მდებარე, 9 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 36.12.34.345 სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით უვადოდ გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.დ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (ს/კ 204559691) გადაცეს უვადოდ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ლახუნდარაში მდებარე 9 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 36.12.34.345, მასზე მეწყრის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო მონაცემთა მიმღების (“Data Gateway”) მოსაწყობად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი